



შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბაზეთი

№25 (9.739)

2 - 9 ივლისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი


ყოველკვირეული გამოცემა



მმ.2

**ფერმერებს
სამეურნეო
კულტურების
უზრუნველყოფით
დახალხროცენტიანი
სესხის აღება
შეეძლება**

ახლო ადმოსავლეთი და ტერორიზმი



მმ. 3

**გიორგი
კვიციანი
- საქართველო
ლღუს
ფაქტობრივად
ევროპული
წესრიგის
ნაწილი გახდა**

მმ. 2



„კლიმატის ცვლილების სცენარი არასასარბიელოა“

მმ. 4

ვაჟას შემოქმედება ანტიკური თეატრის პასაჟებით



მმ. 6

**ვაშლიანის
ეროვნულ პარკში
ჰაიკინებს
ლიკლიკების
ახალი თაობა
შეემატა**

მმ.2



ე უ რ ა დ ლ ე ბ ა !

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასწარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადაწვდილობდა ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

გიორგი კვიციანი შვილი - საქართველო დღეს ფაქტობრივად ევროპული წესრიგის ნაწილი გახდა

საქართველო დღეს უკვე ფაქტობრივად ევროპული წესრიგის ნაწილი გახდა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა განაცხადა. მისივე თქმით, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია იქიდან გამომდინარე, რომ მთელი რიგი რეგულაციები, მთელი რიგი შესაძლებლობები იხსნება საქართველოსთვის, მათ შორის ევროპულ ბაზარზე.

„თუ დღემდე იყო პირობითი დაშვება საქართველოში, დღეიდან უკვე ფაქტობრივად ღიაა ეს ბაზარი, თუმცა ჩვენ მოგვიწევს სხვადასხვა რეგლამენტის შექმნის კუთხით ადგილზე, რათა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის შესაძლებლობები, რაც გააჩნია ევროპულ ბაზარს. ამ კუთხით ჩვენ ვაგრძელებთ იმ რეფორმების დღის წესრიგს, რომელიც გაგვანინა და უახლოეს მომავალში ჩვენ შევთანხმდებით შემდგომ სამწლიან გეგმას ასოცირების დღის წესრიგიდან გამომდინარე. რაც შეეხება უპირველეს სარგებელს, რომელსაც საქართველო ელოდება, ეს არის ვიზალიზირებული და იმედი მაქვს, რომ ჩვენ წარმატებით დავასრულებთ ამ პროცესს“, - განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

დღეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ერთი წელი გაივლიდა. ხელშეკრულება ძალაში იქნება აღებული შემდეგ.

სურსათის ეროვნული სააგენტო თურქულს საწინააღმდეგო ვაქცინაციას ატარებს

დაავადება „თურქულს“ საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, დაგეგმილია 1 700 000 სული პირუტყვის აცრა.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ვაქცინირებულია 541 744 სული მსხვილფეხა და 183 273 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

„დაავადება თურქულთან დაკავშირებით საქართველოში ეპიზოოტიურად სტაბილური მდგომარეობაა, თუმცა მოსაზღვრე და ახლომდებარე ქვეყნებიდან დაავადების შესაძლო გავრცელების პრევენციისთვის სურსათის ეროვნული სააგენტო ცხოველებს მალაღობის ხარისხის ვაქცინით წვრილფეხი ორჯერ ცრის, რაც დაავადების კონტროლის საუკეთესო მექანიზმი და „თურქულს“ საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოში.

თურქული (Foot and Mouth Disease) ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც სწრაფად ვრცელდება და დიდ ეკონომიკურ ზარალს იწვევს. ქვეყანაში დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში ფერხდება ცოცხალი ცხოველებისა და მეცხოველეობის, ზოგჯერ მცენარეული პროდუქციის ექსპორტიც.

ფერმერებს დაბალპროცენტული სესხის აღება შეეძლება

სოფლის მეურნეობის სექტორში აგროდაზღვევის, ღირებულებათა ჯაჭვის და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უზრუნველყოფით სესხის აღების მექანიზმებზე სამინისტროში მუშაობა მიმდინარეობს. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის დავით გალავაშვილის თქმით, ფერმერებს საშუალება ექნებათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უზრუნველყოფით დაბალპროცენტული სესხი აიღონ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. როგორც დავით გალავაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, ეს მექანიზმი საინტერესო იქნება როგორც ფერმერებისთვის, ისე საბანკო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

„აღნიშნული კონცეფცია ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონსოლიდაციას, სტანდარტიზაციას, ერთიანი მარკეტინგული მოთხოვნების ჩამოყალიბებას, კოოპერაციის გაძლიერებას და გაზრდის საექსპორტო პოტენციალს“, - აღნიშნა დავით გალავაშვილმა.

შეხვედრის ფარგლებში, კომპანია „ბიზნესისა და ფინანსების საკონსულტაციო ცენტრის“ (BFC) პროექტის „აგროდაზღვევისა და დაფინანსების ხელშეწყობა საქართველოში (PAFAI)“ საკრედიტო და რისკების მართვის ექსპერტმა ნინო ბერიშვილმა პრეზენტაცია წარმოადგინა. პრეზენტაცია მოიცავდა აგროდაზღვევისა და ღირებულებათა ჯაჭვის სრული მექანიზმის მართვას ელექტრონული მართვის სისტემის ე.წ. სოფტის მეშვეობით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ჯეირნებს ლიკლიკების ახალი თაობა შეემატა



პროექტი „ჯეირნების რეინტროდუქცია კავკასიის ისტორიულ ჰაბიტატებში“ აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) მხარდაჭერით 2013 წლიდან მიმდინარეობს.

ამ დრომდე აზერბაიჯანიდან 38 ჯეირანია შემოყვანილი, 2015 წელს დაიბადნენ პირველი ლიკლიკებიც. ჯეირნების დამატებითი რეინტროდუქცია მომავალშიც იგეგმება.

ნატო საქართველოსთვის არსებითი პაკეტის გაძლიერებას აპირებს

ვარშავის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი სამიტის საკვანძო საკითხებზე ინფორმაციას აქვეყნებს, სადაც საქართველოზეა საუბარი.

ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის გაძლიერებაზე მიიღებს გადაწყვეტილებას.

„აღმოსავლეთით ნატო გააგრძელებს თავისი პარტნიორების, უკრაინის, საქართველოსა და რესპუბლიკა მოლდოვას თავდაცვითუნარიანობისა და მდგრადობის გაძლიერებას, რათა შეძლონ გარე ზენონისთვის წინააღმდეგობის გაწევა და რეფორმების გაგრძელება. ალიანსი გააძლიერებს ნატო-საქართველოს არსებით პაკეტს. ნატო გააგრძელებს მჭიდრო მუშაობას ისეთ პარტნიორებთან, როგორცაა ფინეთი, შვედეთი და საქართველო, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბალტიისა და შვეი ზღვის რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

არგენტინის ნაკრებიდან მესის წასვლას ქვეყნის პრეზიდენტი და დიეგო მარადონა გამოეხმაურნენ

არგენტინის პრეზიდენტი მაურისიო მაკრი იმედს გამოთქვამს, რომ მისი ქვეყნის ნაკრების კაპიტანი და ლიდერი ლიონელ მესი გადაწყვეტილებას შეიცვლის და ეროვნულ გუნდს დაუბრუნდება. მესის ნაკრებში დაბრუნებას აგრეთვე მოუწოდებენ მსოფლიო ფეხბურთის არგენტინელი ლეგენდა დიეგო მარადონა, „ბარსელონას“ ყოფილი ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი და ურუგვაელი თანაგუნდელი ლუის სუარესი.

სოციალურ ქსელებში უკვე გაჩნდა ე.წ. ჰაშთაგი - #NoTeVayasLeo ანუ „არ წახვიდე, ლეო“.

„ისე, როგორც არასდროს, ჩვენი გუნდის გამო ამაცი ვარ. იმედი მაქვს, მომავალშიც, არაერთი წლის განმავლობაში, გავიხარებთ იმით, რომ ჩვენ შემადგენლობაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თამაშობს. #NoTeVayasLeo“ - წერს არგენტინის პრეზიდენტი Twitter-ის საშუალებით.

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო მარადონა მესიზე საუბრობს და ამბობს, რომ ის ბევრმა ადამიანმა მიატოვა, რაც მას არასწორად მიაჩნია. მარადონამ ირიბად არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია იგულისხმა.

„მესი უნდა დარჩეს ნაკრებში. ის ნავა 2018 წელს რუსეთში რათა მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. ის უნდა დაეყრდნოს მათ, ვინც გუნდს წინსვლაში დაეხმარებიან და არა მათ, ვინც ფიქრობს რომ ნაკრებიდან უნდა წასულიყო. ის ვინც ამბობს, რომ ის უნდა წავიდეს, ისე იქცევიან, თითქოს ჩვენ ვერ ვხედავთ რა კატასტროფად იქცა არგენტინული ფეხბურთი. ძალიან ვწუხვარ და ძალზე გაბრაზებული ვარ იმით, რაც არგენტინულ ფეხბურთს სჭირს, ჩვენ ფსკერისკენ მივუქანებით.“ - განაცხადა მარადონამ.

საპარლამენტო არჩევნებში კენჭისყრა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის გარეშე შეეძლება

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რომელიც დღეიდან ამოქმედდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შემთხვევაში თანამდებობიდან გადადგომა აღარ ევალება. აღნიშნული საგამონაკლისო წესი არ გავრცელდება მთავრობის სხვა წევრებზე.

იმავე ცვლილებებით, პარლამენტის არჩევნებში კენჭისყრისას თანამდებობის დატოვება მოუწევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უკლებლივ ყველა წევრს. დღემდე მოქმედი კანონით, გამონაკლისი დაიმკვიდრა საბჭოს იმ წევრებზე, რომლებიც იმავდროულად იყვნენ პარლამენტის წევრები.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ საარჩევნო კოდექსის 112-ე მუხლში მითითებული თანამდებობის პირები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უარი ეთქმებათ პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა

საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, რომელსაც იუსტიციის მინისტრი უხელმძღვანელებს.

კომისიის შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების მოადგილეები, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისა და მთავარი პროკურორის მოადგილეები და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.

უწყებათაშორისი კომისია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნის საფუძველზე იქმნება და მისი მიზანი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და გამოვლენის და რეგულირებაზე რეაგირებაა.

გარდა ამისა, კომისია ხელს უწყობს დიალოგს საქართველოს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. იგი თანამშრომლობს კვალიფიკაციურ საარჩევნო სუბიექტებთან, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან/საარჩევნო ბლოკებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამკვირვებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

კომისია სისტემატურად შეამოწმებს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისგან მიღებულ ინფორმაციას, ასევე მდელით გავრცელებულ ცნობებს. დარღვევების პრევენციისა და აღმოჩენის და რეგულირებაზე რეაგირების მიზნით, კომისია შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც უგზავნის შესაბამის საჯარო მოსამსახურეებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას და მოითხოვს სათანადო ღონისძიებების გონივრულ ვადაში განხორციელებას.

ჰოლანდიაში ციხეები იხურება

ჰოლანდიაში 2013 წელს 19 ციხე დაიხურა, მიზეზი დამნაშავეების მცირე რაოდენობა იყო. ზაფხულის დასასრულისთვის კიდევ ხუთი დაიხურება.

სასჯელაღსრულების დაწესებულების გაუქმების შედეგად სამსახურის გარეშე უკვე დარჩა 2 ათასამდე ადამიანი.

ციხეების შესავსებად ჰოლანდიაში გასული წლის სექტემბერში ნორვეგიიდან 240 პატიმარი გადაიყვანეს. ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა, არდ ვან დერ სტერმა პარლამენტს გადაუცხადა, რომ ნახევრად ცარიელი დაწესებულებების შესახვა ქვეყნისთვის ზედმეტი ხარჯია.

Techedsider წერს, რომ ჰოლანდიაში კრიმინალის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი ნარკომომხმარებლების მიმართ რბილი დამოკიდებულება და მათ რეაბილიტაციაზე ფოკუსირებაა.

„კლიმატის ცვლილების სცენარი არასახარბიელოა“

თუ ადრე ამინდზე საუბარს უხერხული სიჩუმის დასარღვევად წამოიწყებდნენ ხოლმე, ახლა ეს თემა გაცილებით აქტუალურია. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც წყალდიდობა, წყალმოვარდნა და სეტყვა არცთუ იშვიათ მოვლენად იქცა.

23 ივნისს დარიალის ხეობაში ღვარცოფის მოვარდნის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ „ბუნება მბრძანებელია“ და მასში უხეში ჩარევის შედეგებს ხშირად ვიმკით ხოლმე ადამიანები. ამ დღეს მსხვერპლის თავიდან აცილება მხოლოდ 24-საა-

ვა. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ რა სამუშაოებიც უნდა ჩატარდეს, კლიმატი გარკვეული დროით მაინც შეიცვლება, ამის გამო კი გლობალური ცვლილებებია მოსალოდნელი: განსაკუთრებით, ზღვის დონის აწევა, წყალდიდობა, წყალმოვარდნების გახშირება და ა. შ. შარშან პარიზში ჩატარდა კლიმატის სამიტი, რომლის დროსაც მიიღეს კონცეფცია, რომელიც პირველი რიგის ქვეყნებს ავალდებულებს, დაიცვან გარკვეული ნორმები და ლიმიტები, რამდენი გაზის გაფრქვევა შესაძლებელია.

- თუ ლიმიტს ყველა ქვეყანა დაცავს, მაშინ დაინევის დათბობის ნიშნული

ალმოსავლეთში კი შეინიშნება შემცირების ტენდენცია, განსაკუთრებით, ზაფხულში, რაც ასევე უარყოფითად აისახება სხვადასხვა სექტორზე, სადაც ისედაც გვაქვს წყლის ნაკლებობა. ანუ ეს კონტრასტები მწვავედება, რაც ინვესტორებს გახშირებს და გახანგრძლივებს, ისევე როგორც სხვა რეგიონებში ჭარბი ან ექსტრემალური ნალექების შემთხვევებს.

- პროგნოზი როგორია?

- არასახარბიელო. არსებობს ე.წ. კლიმატის ცვლილების სცენარები. თუ მსოფლიო განვითარდება ისე, რომ პრიორიტეტი მიენიჭება გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, მაშინ გვექნება კლიმატის ცვლილების შედარებით შერბილებული ტენდენცია. თუ მსოფლიო წავა ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით, შეიძლება უფრო უარესი შედეგი მივიღოთ. ყველაზე რბილი სცენარის შემთხვევაშიც, საუკუნის ბოლოს მაინც არასახარბიელო სიტუაცია გვექნება. ზომიერი სცენარის პირობებში 3-4 გრადუსით ტემპერატურის მატებაა მოსალოდნელი.

ტემპერატურის მატება აისახება მყინვარების დნობაზე, ასევე წყლის დონის აწევასა და ექსტრემალური მოვლენების გახშირებაზე, მაგალითად, როგორცაა უხვი ნალექი, გვალვა, სეტყვა და ა.შ.

ბა გაბმული წვიმები. ტემპერატურა 35 გრადუსამდე მოიმატებს.

- როგორი ზაფხული გველის?

- საშუალო მრავალწლიურ ნიშნულზე ცოტა ცხელი. ცხელი პერიოდი დაიწყება ივლისის შუა რიცხვებიდან და გასტანს აგვისტოს ჩათვლით. ნალექი ნორმის ფარგლებში იქნება, პერიოდულად ხანმოკლე წვიმებს უნდა ველოდოთ, მეტწილად, აჭარაში. წელს საქართველოში ანომალური სიციხეები არ გველის, თუმცა ცალკეულ დღეებში შესაძლებელია ტემპერატურა ზოგიერთ რაიონში 40 გრადუსამდეც ავიდეს.



თიანი მონიტორინგის შედეგად გახდა შესაძლებელი.

თამარ ბაბრატაძე, გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი: ხეობაში, თანაც მაქსიმალურად სიღრმეში, 24-საათიანი მონიტორინგი ხორციელდება. სპეციალისტები მუდმივად აკვირდებიან პროცესებს.

ამ პროცესებით ადამიანების გადარჩენა შესაძლებელია, მაგრამ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეს არ ამცირებს.

რამაზ ჭითანაძე, გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი:

- კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე შეინიშნება რეგიონული მასშტაბის ცვლილებები. ლაპარაკია დედამიწაზე საშუალო ტემპერატურის დაახლოებით 0,7-0,8 მეათედი გრადუსით გაზრდაზე. თითქოს ეს არც ისე დიდი მანქანებელია, თუმცა ამის შედეგად აშკარაა ათასობით წლის განმავლობაში დედამიწაზე ჩამოყალიბებული კლიმატური სისტემის დარღვევა. თითქმის ყველგან თავი იჩინა არახელსაყრელი ჰიდრომეტეოროლოგიური და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი გეოლოგიური სახის მოვლენის (მაგ. მენყერი) გახშირებამ. წყალდიდობები ადრეც ყოფილა, თუმცა ახლა აშკარად გახშირდა. დათბობას, ძირითადად, დიდი ოდენობით სათბურის ეფექტის მქონე გაზების გაფრქვევა იწვევს. მაგ.: C2 და სხვა. თუ ზომები არ იქნა მიღებული, როგორც ამბობენ, მოსალოდნელია, საუკუნის ბოლოსთვის ტემპერატურამ 2,5-3 გრადუსით აიწიოს.

- რა კეთდება ამის თავიდან ასაცილებლად?

- მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ და გაეროს გარემოს დაცვითმა პროგრამამ ერთობლივად დააფუძნეს საერთაშორისო ორგანიზაცია IPCC (კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა საბჭო). მას ევალება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის შესწავლა და შესარბილებელი ღონისძიებების დასახ-

დედამიწაზე?

- დანვანზე არც არის ლაპარაკი, ლაპარაკია იმაზე, რომ 2 გრადუსს არ ასცდეს.

ლია მიხრაიძე, კლიმატოლოგიისა და მეტეოროლოგიის სამმართველოს უფროსი: - საქართველოზე თავისებურად აისახება გლობალური დათბობა. გლობალური დათბობის ფონზე სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებში მიმდინარეობს რეგიონული დათბობის ცვლილებების შესწავლა. კვლევები ჩატარებულია საქართველოსთვისაც. გამოვლენილია, რომ ტემპერატურა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში მომატებულია. ტემპერატურა უფრო მეტად დამთბარია საქართველოს სამხრეთ-ალმოსავლეთ ტერიტორიებზე. დასავლეთში აღინიშნება ნალექების მატება, იქ ისედაც ჭარბი ნალექია,

ბის შერბილებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ენერჯეტიკაში, ტრანსპორტის სფეროში, გარემოსდაცვით „მეგობრული“ ტექნოლოგიების დანერგვა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიების დაგეგმვის პროცესში გადწვევითილებების მიმღებთა, დაინტერესებულ მხარეთა და მომხმარებელთა ჩართულობა.

საბოლოო პოლიტიკა, გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების სამმართველოს უფროსი: - უახლოესი 10 დღის განმავლობაში საქართველოს ზოგიერთ რაიონში ღამის ან საღამოს საათებში შენარჩუნებული იქნება ხანმოკლე წვიმა. აღარ დაფიქსირდე-



თბილისური სიკეთეების ისტორია

ვიცი, ძალიან უცნაურად ჟღერს, მაგრამ თბილისში ჩემი საყვარელი ადგილი მეტროა. ალბათ იმიტომ, რომ არც თუ ისე ცოტა დროს ვატარებ აქ. რა სჯობს სახლიდან უნივერსიტეტამდე (და პირიქით) გადაქანცული ხალხის თვალიერებას. ვცდილობ გამოვიცნო, ვინ რაზე ფიქრობს, რაზე დარდობს, ვინ როგორი ადამიანია... როცა ჩემს თავს ამგვარ საქმეში გამოვიჭერ, უნებურად მეცინება ხოლმე. მართლაც, ყველაზე საინტერესო ამბები, მერნმუნეთი, მეტროში ხდება.

გუშინაც განსაკუთრებული დღე იყო. გამოცდიდან სახლში ვბრუნდებოდი. რა თქმა უნდა, მეტროთი. მატარებელში რომ შევედი, სამი ფერადკანიანი ბიჭი დავინახე. სკამებზე ისხდნენ, ლაპარაკობდნენ. შემდეგ გაჩერებაზე ერთი შუახნის ქალი შემოვიდა. ერთ-ერთმა ბიჭმა მაშინვე წამოიწია და ადგილი დაუთმო. ქალს გაცოცხლა დაეცო სახეზე. ერთი ნუთით შეეყვანდა. ბოლოს რაღაც მადლობისმადგარი ნაიბუტბუტა და დაჯდა. გამეღიმა. გამეღიმა ბიჭის საქციელზე და ქალის რეაქციაზე. რაღაცნაირად დადებითად დავიმუხტე.

ყოველ მომდევნო გაჩერებაზე ფერადკანიანი ბიჭები ნელ-ნელა დგებოდნენ და ადგილს ქალბატონებს უთმობდნენ. ყველა ქალბატონის რეაქცია ერთი და იგივე იყო: ვერავის წარ-

მოედგინა, რომ „ზანგებსაც“ აქვთ პატივისცემის განცდა და შინაგანი კულტურა.

მოკლედ, ძალიან გავხალისდი. ეს ყველაფერი კი ერთი მნიშვნელოვანი ამბით დაგვირგვინდა. უცებ ერთ-ერთმა ფერადკანიანმა ქართველი ბიჭი შეაჩერა და ხელით ანიშნა ჯიბეზე. ბიჭი ჯერ ვერ მიხვდა რაზე მიუთითებდნენ ასე დაჟინებით, ბოლოს ჯიბეზე დაიხედა-ქალაქის 20-ლარიანი სადაცაა ამოუვარდებოდა. ბიჭს გაეღიმა და მადლობის ნიშნად ძალიან, ძალიან მაგრად ჩამოართვა ხელი ჩვენს ფერადკანიან მეგობარს.

ეს ყველაფერი ზუსტად ათ-თხუთმეტ წუთში ერთ ვაგონში მოხდა. მე გაცოცხლები და სიხარულით სავსე გამოვედი მატარებლიდან. არ ვიცი, სჭირდება თუ არა საერთოდ კომენტარი ამ ამბავს. უბრალოდ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სიკეთე უნივერსალურია. ადამიანური ღირებულებები ყველა კონტინენტზე, ყველა დროში და ყველა რასის წარმომადგენლისთვის ერთნაირია. ჩვენ ერთი ფესვები გვაქვს. ჩვენ უბრალოდ ადამიანები ვართ და სხვანაირად არ შეგვიძლია.

ამ ამბავმა უნებურად ერთი პატარა ისტორია გამახსენა, რომელიც ადრე ერთ ნიგნში ამოვიკითხე:

„პატარა ვიყავი, 8-9 წლის,

როდესაც მამამ ახალი ქუდი მიყიდა. ძალიან მომწონდა და ვამაყობდი ამ ქუდით- არ ვიშორებდი და ძალიან ვუფრთხილდებოდი. ერთ დღეს, როდესაც თბილისური ნოემბრის სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა, დედა, ბებია და მე ბორნით გადმოვდიოდით მტკვარზე. მდინარეში ახალი შესულები ვიყავით. მე ჩემს ქუდს ხელში ვათამაშებდი და ძალიან მიწოდდა ყველას დაენახა, რა განძაც ვფლობდი. ამ თამაშ-თამაშში მოულოდნელად ქუდი წყალში ჩამივარდა- კინაღამ ზედ გადავყევი, მაგრამ ვინ გამიმეებდა?! ტირილი ამივარდა. უცებ მე-ბორნემ სამართავი ერთ ახალგაზრდა კაცს მიაწოდა, ორი სიტყვა უთხრა და ყველას გასაკვირად მდინარეში გადახტა. ხელის რამდენიმე მოსმით ქუდს დაენია, ისევ ჩვენკენ წამოვიდა და ბორანზე ამოფოფხდა. საშინელი სიცივით აკანკალებულმა ქუდი გამომიწოდა და ისევ



სამართავთან დადგა. მე უზომოდ გახარებული ვიყავი, ხალხი კი აღტაცებითა და გაოცებით უყურებდა მებორნეს. დედაჩემს ცრემლები მოერია და ჩემს „გადამრჩენელს“ მიმართა:
- დიდი მადლობა, ბატონო, არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება, ჩვენ მდიდრები არა ვართ და იქნებ ვერც მოვახერხო...
- ქალბატონო, ეგ საჭირო არ არის, - უპასუხა მებორნემ, - რომ ვიცოდე, რომ მადლობას ვერაფრით გადამიხდით, ამიტომაც გადავხტი წყალში. ამ

პატარა ბიჭის სიხარულის სა-ნაცვლოდ კაცს მადლობის მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს.
ამ დროს ბებია მომიტრიალდა (ძალიან მკაცრი და სათნო ქალი იყო, დიდწილად მისი გზის დიდი ვიყავი) და მითხრა:
- შვილო, დაიმახსოვრე: მთელი შენი სიცოცხლე ამ მებორნის ვალი გაქვს.
მითხრა და მეც არ დამეინყებია არასდროს...“
ჩვენ ყველას გვაქვს იმ მებორნის ვალი. უკლებლივ ყველას.

სოფიო მინთაშაშვილი

2016 წლის ადამიანების დაჯილდოვება თუმანიშვილის თეატრში

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს „2016 წლის გამორჩეული ადამიანის“ სიგელი გადაეცა.

კუთვნილი ჯილდო გიორგი

ამარაგებს მოსახლეობას, მათ შორის ზემო მარხაის საჯარო სკოლას უამრავი ნიგნი ჩამოუტანა საჩუქრად, ასევე დაჯილდოვდნენ და „ამაგდარის“ სიგელები გადაეცათ ცნობილ ღვაწლმოსილ დირი-

ლია... უნიჭიერესი, უდიდესი შემოქმედი, რომელიც მუდამ ამტკიცებს, ადასტურებს, როგორი უნდა იყოს ადამიანი: პატრიოტი, იმავდროულად, კოსმოპოლიტი, კეთილმოსურნი. მზია, სხვებთან ერთად,

სა და მშვიდობის სადაროჯვე დგომის გამომხატულება!

მე მიყვარს მზია, როგორც შემოქმედი, მისი საიუბილეო საღამო 17 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა, დღეს კი თუმანიშვილის თეატრის მასპინძელი.

ცნობილმა პოეტებმა: ნანა ცინცაძემ, მაყვალა ლიპერტელიანმა, თემურ ჩალაბაშვილმა, ლია მეტრეველმა, ერეკლე სალღიანმა, ახალგაზრდა პოეტებმა: ოთო ფალიანმა, მაია არიმ, მადონა დვალმა, ქეთი დოლიძემ და მზია ხეთაგურმა“ ღამის დარაჯიდან“ ნაიკითხეს ლექსები, რომლებიც მსმენელის გულს მაღამოდ ედებოდა.

დაჯილდოვების პროექტის ავტორმა და ორგანიზატორმა, გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ რედაქტორის მოადგილემ ნანა ჭიჭინაძემ განაცხადა: დაჯილდოვების ცერემონიალი სპეციალურად დავამთხვიეთ მზია ხეთაგურის ნიგნის პრეზენტაციას, რათა წლის გამორჩეული ადამიანებისთვის

უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიგვენიჭებინა და ასეც მოხდა.

ქალბატონმა მზიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორ ძალუძს შემოქმედ ადამიანს ოცნებით, აღმაფრენით გაითავისოს უკიდევანო სამყაროს სივრცეში გაბნეული სტრიქონების მარადიულობა, მშვენიერება, იდუმალეობა და ამ განზომილებაში მოაქციოს მსმენელი.

დაჯილდოვებულთა სახელით გიორგი კეკელიძემ და რომან მჭედლიძემ უღრმესი მადლობა გადაუხადეს პროექტის ორგანიზატორებს, ასევე მოსახლეობას, რომ წლის გამორჩეულ ადამიანად დაასახელეს და დასძინეს: რომ გაზეთი „საქართველოს ლირიკა“ და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარი“ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ, ისინი ამ პროექტით რევიონებსა და დედაქალაქს შორის მეგობრობის ხიდს აშენებენ.

მარიკა ჰოპიაშვილი



კეკელიძეს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრში საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვახუშტი ქიზიყურაშვილმა გადასცა.

როგორც დაჯილდოვების ცერემონიაზე ითქვა, გაზეთი „საქართველოს ლირიკა“ ყოველწლიურად მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად საქართველოს მასშტაბით ავლენს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ახალგაზრდა თუ ღვაწლმოსილ ადამიანებს. მიმდინარე წელს გამოკითხულთა უმრავლესობამ წლის გამორჩეულ ადამიანად ყველაზე ახალგაზრდა შემოქმედი გიორგი კეკელიძე მიიჩნია, რომელიც საქართველოს რევიონებში, ქალაქებსა თუ სოფლებში ნიგნებითა და კომპიუტერებით

ფორებს: რევაზ ტაკიძეს, ზაზა აზმაიფარაშვილს, გოგი ჭიჭინაძეს, დედოფლისწყაროელ წარმატებულ ფერმერს ბაჩუკი გონაშვილს, ბორჯომის ს.ს. „ფირუზის“ დირექტორს რომან მჭედლიშვილს და ბათუმის ინსტიტუტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს როინ მალაყმაძეს.

წლის ადამიანები სპეციალური სტუმრის სტატუსით დაესწრნენ ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მზია ხეთაგურის ახალი ნიგნის „ღამის დარაჯი“ - გაყიდვა პრეზენტაციას.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ აღნიშნა: მზია ხეთაგური ბუნებრივად ორიგინალური აზროვნების პოეტია, იგი ჩემთვის ოჯახის ნაწი-

უყოყმანოდ ჩაჯდა ჩემს ავბედით მატარებელში აფხაზეთში გასამგზავრებლად 1993 წელს. ეს იყო უდიდესი თავგანწირვი-



რატომ გვექავეება ცხვირი

ცხვირის ქავილი ბევრისთვის ნაცნობი პრობლემაა. უსიამოვნო შეგრძნება ცხვირის ღრუში, დისკომფორტი, გახშირებული ცხვირცემინება ხშირად ალერგიული რეაქციის გამოხატულებაა. ამ დროს ცხვირის ღრუში სუნუნდება, სუნუნდება ფერხდება, რის გამოც ბევრი თვითნებურად იყენებს სისხლძარღვთა შემავიწროებელ საშუალებებს. ამ პრეპარატების გამოყენება დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს - მიჩვევას იწვევს და საშიშია. ეფექტიანია და გაცილებით უსაფრთხო ცხვირის ღრუში სხვადასხვა ხსნარის გამოყენება.

ცხვირის ქავილის გარეგან მიზეზთაგან აღსანიშნავია ქიმიური და მექანიკური გამოღიზიანებლები, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ალერგენები, თამბაქოს კვამლი, მძაფრი სუნები, აირები და აი-

რისმაგვარი ნივთიერებები, პარაფორმული ნაწარმი, ცხვირის ტრავმა, შინაგანი ფაქტორებიდან კი - სხვადასხვა ინფექცია. მიზეზის დაუზუსტებლად მკურნალობის დაწყება არ შეიძლება. უნდა ითქვას ისიც, რომ ცხვირის ქავილს ხშირად ერთვის ცხვირის ღრუში (ლორწოვანი გარსის) შემუშება, გამოწვეული (სურდო), თვალის განთილება და გაძლიერებული ცრემლდენა.

ცხვირის სიმშრალე და ძაძვილი

ზოგჯერ ცხვირის ქავილი ცხვირის ღრუს ღრუში განვითარების სიმშრალისგან განპირობებული. ეს უკანასკნელი ზოგჯერ შეგუბებით პროცესებთან მონაცვლეობს. ღრუში სიმშრალის დროს ქავილს ხშირად წვის შეგრძნებაც ახლავს

თან, ღრუში კი ერთგვარი ქერქები წარმოიქმნება. ამ სიმპტომებს ზოგჯერ ერთვის თავის ტკივილი, წიაღის არეში სიმძიმის შეგრძნება და ცხვირიდან სისხლდენაც. ცხვირის ღრუს ღრუში გარსის სიმშრალის დროს სუნუნდება რთულდება (ღრუში მოხვედრილი ჰაერი ვეღარ ტენიანდება და იწმინდება). ამ პათოლოგიურ პროცესებს სხვადასხვა რამ იწვევს. ხშირად ღრუში სიმშრალეს პროვოცირებას უწევს კლიმატური პირობები, შენობაში მეტისმეტად მაღალი ტემპერატურა, ჰაერის დაბინძურება, ასევე - ზოგიერთი მედიკამენტი, მაგალითად, ბრონქების გამაფართოებელი და ატროპინის შემცველი პერაპარატები. ცხვირის ღრუში სიმშრალე ზოგიერთი დაავადებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგალი-



თან, მშრალი კერატოკონიუნქტივის დროს მცირდება თვალის, ცხვირისა და პირის ღრუს ღრუში სიმშრალის ტენიანობა. არსებობს სივრცის სინდრომიც, რომელსაც რევმატიკული ანთროპის მიაკუთვნებენ, მაგრამ ღრუში სიმშრალე და სანერწყვე ჯირკვლების დაზიანება ახასიათებს.

რა საჭიროა ადენოიდების ამოკვეთა

კონკრეტული მიზეზი, რის გამოც ადენოიდები ვითარდება, უფრო სწორად, ცხვირ-ნახში არსებული ლიმფოიდური ქსოვილი განიცდის ჰიპერპლაზიას (გადიდებას). სტრუქტურული ელემენტების ინტენსიური გამრავლების გამო, ჯერ კიდევ უცნობია. სამაგიეროდ, კარგად არის ცნობილი ის გართულებები, რომლებიც არანამკურნალებ ადენოიდებს ახასიათებს. ბევრი უფრო ხშირად მათ ამოკვეთას (ადენოტომიას). ამას თავისი საფუძველი აქვს. ასეა თუ ისე, ადენოიდების პრობლემა ფართოდ გავრცელებული და აქტუალური გაა.

- ცხვირ-ნახში ადენოიდები ცხვირ-ნახში მდებარეობს. ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი რგოლი იმუნური სისტემისა, რომელიც შედგება ნუშური ჯირკვლებისგან, ენის ქვეშა ნუშურებისა და ცხვირ-ნახში ადენოიდებისგან. ეს ერთიანი სისტემა ასრულებს დამცველობით ფუნქციას, რაც ორგანიზმში შეჭრილი ვირუსების, ბაქტერიებისა და სხვა მიკრობების

უფლებელიყოფით გამოიხატება. ცხვირ-ნახში ადენოიდები შედგება პოხიერი უჯრედებისგან, რომლებიც გამოირჩევა განსხვავებული აგებულებითა და ფუნქციებით. ისინი ძლიერ სენსიტიური არიან ალერგენების მიმართ.

ალერგენსპეციფიკური IgE ანტისხეულები სისხლიდან აღწევს ქსოვილებში, სადაც პოხიერი უჯრედების ზედაპირზე იბოჭება. პოხიერი უჯრედები აქტიურდება მამინ, როცა ალერგენის მოლეკულა ფიზიკურ კონტაქტში შედის მათ ზედაპირზე არსებულ IgE ანტისხეულებთან, რომლებსაც ამ ალერგენის ამოცნობის უნარი აქვთ და იწყება ალერგიული რეაქცია.

პოხიერი უჯრედებისგან გამოთავისუფლება ისეთი მედიკამენტების, როგორებიცაა ჰისტამინის, ლეიკოტრიენების, პროსტაგლანდინების, ციტოკინების. ამ ნივთიერებების გამოთავისუფლებას მოსდევს ქსოვილებში, ადგილობრივად, ანთებითი ცვლილებების განვითარება. სწორედ ჩამოთვლილი ნივთიერებები იწვევს ქრონიკული დაავადებისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს: შეშუპებასა და ღრუში სიმშრალის ჰიპერსეკრეციას. თუმცა ასეთი რეაქციები ყველა ადამიანს არ უვლინდება - აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ განწყობას.

- რა ასაკში ვითარდება ადენოიდები ყველაზე ხშირად?

- ცხვირ-ნახში ადენოიდების ჰიპერტროფია უმეტესად 3-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებთან გვხვდება, თუმცა იშვიათად სიცოცხლის პირველ წლებში და სექსობრივი მომწიფების შემდეგაც შეინიშნება. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ბავშვთა ინფექციები, ზედა სასუნთქი გზების ვირუსული და მიკრობული დაავადებები, ალერგია და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მექანიკური ფაქტორი.

ზომის მიხედვით, განასხვავებენ ადენოიდების ჰიპერტროფიის სამ ხარისხს.

- უმეტესად რა სიმპტომებით ვლინდება ადენოიდები?

- ადენოიდების ჰიპერტროფია კლინიკურად შეიძლება სხ-

ვადასხვა სიმპტომით გამოვლინდეს. პაციენტებს ძირითადად აღვნიშნებათ ცხვირით სუნთქვის გაძნელება და უხვი ღრუში სიმშრალის გამოწვეულია ადენოიდების მიერ ევსტაქის მილის დახშობით და შუა ყურის ნორმალური ვენტილაციის მოშლით. ასევე ხშირია თავის ტკივილი. პირი მუდმივად ღიაა, ქვედა ყბა დაშვებულია, მოგვიანებით სტადიებზე ბავშვებს სახის გამომეტყველება ცვლებათ. ეს მათ აძლევს თავისებურ შესახედაობას, რომელსაც "ადენოიდური სახე" ეწოდება. ასეთ ბავშვებს ადენოიდებით არასწორი თანკბილვა. ანთებითი პროცესები შესაძლოა გავრცელდეს ცხვირის დანამატ ნიაღვრებშიც.

- რას გულისხმობს ადენოიდების მკურნალობა?

- ცხვირ-ნახში ადენოიდების ჰიპერტროფიის კონსერვატიული მკურნალობა უმთავრესად სიმპტომურია, ანუ გართულებების მკურნა-

ლობას გულისხმობს. ძირითადი დაავადების კონსერვატიული მკურნალობა ნაკლებად ეფექტურია.

- გამოდის, რომ ერთადერთი გამოსავალი ქირურგიული ჩარევაა... რა უკუჩვენებები აქვს ადენოტომიას?

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხვირ-ნახში ადენოიდები ორგანიზმის დამცველობითი სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია, ამიტომ საჭიროა, ზუსტად და დროულად განისაზღვროს ქირურგიული მკურნალობის ჩვენება. ექიმმა უნდა შეაფასოს პაციენტის საერთო მდგომარეობა, გართულების რისკი და ქირურგიული მკურნალობის მოსალოდნელი ეფექტურობა. ადენოტომიის უკუჩვენებებია სისხლისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მიმდებარე ადენოიდები, ასევე - რბილი სახის პათოლოგია, ცხვირისა და ხახის მწვავე დაავადებები.

- რამდენად ხშირია რეციდივი?

- ლიმფოიდურ ქსოვილს პროლიფერაციის უნარი აქვს, ამიტომ ოპერაციის შემდეგ ზოგჯერ მოსალოდნელია რეციდივიც, განსაკუთრებით მამინ, თუ ცხვირ-ნახში თუნდაც უმნიშვნელო ოდენობის ქსოვილი დარჩა. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რეციდივი ტექნიკურად უნაკლოდ ჩატარებული ოპერაციის შემდეგაც განვითარდეს.

შეძრწუნებულნი, გულიდან და გონებიდან მომდინარე უწყვეტი ცრემლებით დაავითრით ჩვენს უსაყვარლეს კოლეგას მისილ (მიხილი) თარაშვილს. ვიზიარებთ მისი ოჯახის წევრების ღრმა ტკივილს და გამოვხატავთ რწმენას, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი გზა სასუფეველს მიემართება.

ქედების ზონის მდივანი

კლარა ოზაშვილი და გუგუელი ალადამილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ჟანა ბაბაიანს, მერი და ვასილ საბაშვილებს, ირმა გავალოვს, გენადი პოპოვს მამის და პაპის სტაჟანს ბაბაიანის გარდაცვალების გამო. დაიკრძალა ქ. ვორონეჟში.

ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლის 1989 წლის კურსდაამთავრებულ ები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ ზურაშვილს მამის რაჟო ზურაშვილის გარდაცვალების გამო

სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1995 წლის კურსდაამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა მისილ თარაშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური სოფლის მიწა, მიწიკო. უფალმა დაგიკვიდროს ცათა სასუფეველი, ჩვენო უდროოდ გარდაცვლილ მეგობარო.



ი. ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მნიშვნელოვანი ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს ამჟამინათვის ციციის წევრებს: ლია, ზურა და ეკა ზურაშვილებს მეუღლის და მამის რაჟო ზურაშვილის გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ მისილ თარაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ ვასილ მხარაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ოზაიანის საჯარო სკოლის პედაგოგიკური იუნყება 1994 სასწავლო წლის კურსდაამთავრებულ ვასილ მხარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

ოზაიანის ამბულატორიის თანამშრომლები მერი ბაცაცაშვილი, ვიოლეტა ნატროშვილი, ლიანა მხარაშვილი სამძიმარს უცხადებენ მზია და ნათია მხარაშვილებს, მარიონა ლეგაშვილს ვასილ მხარაშვილის გარდაცვალების გამო.

დავით ნერსესოვი ოჯახით თანაგრძნობას უხანა, ჯუღუღა და გრიგოლ ბაბაიანებს მამის სტაჟანს გარდაცვალების გამო.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიკური კოლეჯი თანაგრძნობას უხანა ბაბაიანს მამის სტაჟანს გარდაცვალების გამო.

ოზაიანის საჯარო სკოლის პედაგოგიკური კოლეჯი თანაგრძნობას უცხადებს ელიზა და მერი შიუკაშვილებს დედის ელენე შიუკაშვილის გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები: თამრიკო თარაშვილი, ლაშა და ლევან ლაპიაშვილები; ნინო, გივი და ნიკა ალადაშვილები; ნინო ჩხაიძე, ოლეგ სადალაშვილი იუნწყებიან მისილ თარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი "112-დედოფლისწყარო" იუნწყება მისილ თარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოზაიანის საჯარო სკოლის პედაგოგიკური კოლეჯი თანაგრძნობას უცხადებს ელიზა და მერი შიუკაშვილებს დედის ელენე შიუკაშვილის გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები: თამრიკო თარაშვილი, ლაშა და ლევან ლაპიაშვილები; ნინო, გივი და ნიკა ალადაშვილები; ნინო ჩხაიძე, ოლეგ სადალაშვილი იუნწყებიან მისილ თარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი ნათესავები: თამრიკო თარაშვილი, ლაშა და ლევან ლაპიაშვილები; ნინო, გივი და ნიკა ალადაშვილები; ნინო ჩხაიძე, ოლეგ სადალაშვილი იუნწყებიან მისილ თარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი ნათესავები: თამრიკო თარაშვილი, ლაშა და ლევან ლაპიაშვილები; ნინო, გივი და ნიკა ალადაშვილები; ნინო ჩხაიძე, ოლეგ სადალაშვილი იუნწყებიან მისილ თარაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

